აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12^1 მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 142^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა“.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ავთანდილ ბერიძე**

ჩაქვი,

19 მაისი 2016 წ.

N160-უ.ს.გ.ს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების
ღონისძიებათა 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია საქართველოს პარლამენტის დადგენილების „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმისა“ და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) რეკომენდაციების („ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ “ კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების საფუძველზე - 18 ივლისი, 2014წ.) გათვალისწინებით.

შესავალი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო:
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/რეგიონული გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა

მიზანი 1: გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა/გაძლიერება					
ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	შემსრულებელი	ვადა	დაფინანსების წყარო/რესურსები
1.1. აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერება	1.1.1 საბჭოს აპარატის შექმნა	საბჭოს აპარატი შექმნილია - ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის აპარატის ადამიანური რესურსის გამოყენებით (უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის № 29 ბრძანების, 12/07/2014 შესაბამისად)	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	2017	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი
	1.1.2. გენდერული თანასწორობის საბჭოს აპარატისათვის საშტატო ერთეულის შექმნა - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე	საშტატო ერთეული -1	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო	2016-2017	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი
	1.1.3. აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოსა გენდერული თანასწორობის საბჭოს აპარატების გაძლიერება - გენდერული თანასწორობის, გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე ტრენინგების ჩატარება	ჩატარებულ ტრენინგთა და მომზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო და მოწვეული ექსპერტები	2016	დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები
1.2. აჭარის ა.რ. მთავრობასთან	1.2.1. აჭარის ა.რ. მთავრობასთან გენდერული თანასწორობის	საშტატო ერთეული დამტკიცებულია	აჭარის ა.რ.მთავრობის თავმჯდომარის	2017	აჭარის ა.რ. მთავრობის

კოორდინაციის გაძლიერება	საკითხებში მრჩევლის საშტატო ერთეულის შემოღება		აპარატი		აპარატის ბიუჯეტი
	1.2.2. გენდერული თანასწორობის საკითხებში მრჩევლისა და მთავრობის წარმომადგენლების, აპარატის თანამშრომლების მომზადება	ჩატარებული ტრენინგებისა და ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო და მოწვეული ექსპერტები	2017	დონორი ორგანიზაციები
	1.2.3. მუნიციპალიტეტების გენდერის მრჩევლებთან თანამშრომლობის გაძლიერება	შეხვედრების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო/გენდერული საბჭო. მთავრობასთან არსებული მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში	2017-2018	აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატის, მუნიციპალიტე - ტების ბიუჯეტი
მიზანი 2: გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის შემუშავება					
ამოცანა	**საქმიანობა**	**ინდიკატორი**	**შემსრულებელი**	**ვადა**	**დაფინანსების წყარო**
2.1. კანონპროექტების და ადგილობრივ დონეზე მიღებული სამართლებრივი აქტების გენდერული ანალიზის დანერგვა	2.1.1. კანონპროექტების გენდერული ანალიზისათვის არსებული კადრების გადამზადება	ტრენინგებისა და მომზადებული კადრების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო ან/და მოწვეული ექსპერტები	2016	დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები
	2.1.2. კანონპროექტების გენდერული ანალიზი	კანონპროექტებისა და ადგილობრივი სამართლებრივი აქტების რაოდენობა, რომელთა გენდერული ანალიზიც ჩატარდა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო და ექსპერტები	2016-2018	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი

მიზანი 3: გენდერული ბიუჯეტის ფორმირება					
ამოცანა	**საქმიანობა**	**ინდიკატორი**	**შემსრულებელი**	**ვადა**	**დაფინანსების წყარო**
3.1. აჭარის ა.რ. ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინება	3.1.1. გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე კადრების გადამზადება	ჩატარებული ტრენინგებისა და მომზადებული კადრების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო ან/და მოწვეული ექსპერტები	2016	დონორი ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები
	3.1.2. რეგიონულ პროგრამებში სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით გენდერული ასპექტების გათვალისწინება	პროგრამების რაოდენობა, რომელშიც აისახა გენდერული ასპექტები	აჭარის ა.რ. მთავრობა და ექსპერტები	2017-2018	აჭარის ა.რ. ბიუჯეტი
	3.1.3. რეკომენდებულია ადგილობრივი ერთეულების ბიუჯეტებში ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე გენდერული ასპექტების გათვალისწინება	მუნიციპალური პროგრამების რაოდენობა, რომელშიც აისახა გენდერული ასპექტები	აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტები, გენდერის მრჩევლები და/ან ექსპერტები	2017-2018	აჭარის ა.რ. ბიუჯეტი

მიზანი 4: ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების დონეზე					
ამოცანა	**საქმიანობა**	**ინდიკატორი**	**შემსრულებელი**	**ვადა**	**დაფინანსების წყარო**

4.1. აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა	4.1.1. პოლიტიკურ პარტიებთან გენდერული თანასწორობის საკითხებზე შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზება	ტრენინგებისა და შეხვედრების რაოდენობა	მოწვეული ექსპერტები	2016 -2018	დონორი ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები
	4.1.2. ქალთა რაოდენობის ზრდის მხარდამჭერი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება	შემუშავებული ინიციატივები	აჭარის უმაღლესი საბჭო	2018	
	4.1.3. ქალი კანდიდატების მომზადება: შესაბამისი ტრენინგებისა და შეხვედრების ორგანიზება	ტრენინგებისა და შეხვედრების რაოდენობა, პარტიის წევრ ქალთა რაოდენობა	აჭარის უმაღლესი საბჭო, მოწვეული ექსპერტები	2016	დონორი ორგანიზაციები
4.2. აჭარის აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალთა რაოდენობის გაზრდა: აჭარის მთავრობის ფორმირება გენდერული ბალანსის დაცვით	4.2.1. საკანონმდებლო ინიციატივის მომზადება	მომზადებული ინიციატივა	აჭარის უმაღლესი საბჭო	2016	
მიზანი 5: განათლებისა და ცნობიერების დონის ამაღლება					
ამოცანა	**საქმიანობა**	**ინდიკატორი**	**შემსრულებელი**	**ვადა**	**დაფინანსების წყარო**
5.1. ახალგაზრდობის ცნობიერების დონის ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე - არაფორმალური განათლების გზით.	5.1.1.ტრენინგები, სემინარებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზება.	ჩატარებულ შეხვედრათა და მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო ან/და მოწვეული ექსპერტები	2016-2018	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს დონორი ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები
	5.1.2. საჯარო ლექციების ორგანიზება უმაღლეს სასწავლებლებში	ჩატარებული ლექციების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო ან/და მოწვეული	2016-2018	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები;

			ექსპერტები		არასამთავრობო ორგანიზაციები
	5.1.3. სკოლებში ღია გაკვეთილებისა და დისკუსიის ჩატარება	ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო ან/და მოწვეული ექსპერტები	2016-2018	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი, აჭარის მთავრობა, დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები
5.2. სხვადასხვა სამთავრობო უწყების წარმომადგენელთა გადამზადება გენდერული თანასწორობის საკითხებზე	5.2.1. ტრენინგების ორგანიზება გენდერული თანასწორობის საკითხებზე, გენდერული თანასწორობის საერთაშორისო და ეროვნულ მექანიზმებზე, კანონმდებლობაზე, კონვენციებზე	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, ჯგუფებისა და ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა	მოწვეული ექსპერტები	2016-2018	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი, აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატის ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები
5.3. გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	5.3.1.ტრენინგების ორგანიზება აჭარის რეგიონში მოქმედი მედია - საშუალებების ჟურნალისტებისათვის, რომელიც შეეხება გენდერული თანასწორობის საკითხებსა და გენდერულად მგრძნობიარე საკითხების გაშუქებას	ჩატარებულ ტრენინგთა და მონაწილეთა რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო ან/და მოწვეული ექსპერტები	2016	დონორი ორგანიზაციები
	5.3.2. რეკომენდირებულია ტელე-რადიო გადაცემებში, ბეჭდურ მედიაში გენდერული საკითხების გაშუქება	გადაცემათა რაოდენობა, მათი შინაარსობრივი ანალიზი	აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ბეჭდვითი მედია	2016-2018	აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები
მიზანი 6: ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა					

ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	შემსრულებელი	ვადა	დაფინანსების წყარო
6.1. განათლებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლება ძალადობის საკითხებზე	6.1.1. ქალთა ჯგუფებისათვის (მათ შორის მაღალმთიანი აჭარის წარმომადგენლებისათვის) ტრენინგების ჩატარება ძალადობის საკითხებზე, ქალთა უფლებებისა (გაეროს CEDAW(ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ) კონვენციის, სხვა საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტების გაცნობა)) და ძალადობისაგან დაცვის მექანიზმებზე	ჩატარებული ტრენინგებისა და მიზნობრივი ჯგუფების რაოდენობა	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო ან/და მოწვეული ექსპერტები	2017-2018	დონორი ორგანიზაციები
	6.1.2.შესაბამისი უწყებების (შინაგან საქმეთა სამმართველო და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების) წარმომადგენელთა მომზადება ძალადობის საკითხებში, მათ შორის გაეროს CEDAW(ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ) კონვენციის განხილვა და მისი მნიშვნელობის გაცნობიერება	ჩატარებული ტრენინგებისა და მიზნობრივი ჯგუფების რაოდენობა	საქართველოს შსს აჭარის მთავარი სამმართველო, უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო ან/და მოწვეული ექსპერტები	2017-2018	დონორი ორგანიზაციები
	6.1.3. რეკომენდებულია თემატური მედია პროდუქტის მომზადება და განთავსება ადგილობრივ მედია - საშუალებებში	გადაცემათა რაოდენობა და შინაარსის ანალიზი	აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ბეჭდვითი და ელექტრონული მედია	2017-2018	აჭარის ტელევიზია
6.2. ოჯახში ძალადობის აღკვეთა, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა	6.2.1. რეგიონში არსებული მდგომარეობის შესწავლა-ანალიზი, ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების დადგენა (კვლევის	კვლევის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო და მკვლევარი-	2017	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი, აჭარის ა.რ. მთავრობის

	ჩატარება)		ექსპერტები		აპარატის ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები
	6.2.2. სტატისტიკის გათვალისწინებით, ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრის შექმნა	ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფარი შექმნილია - 2015 წ. ახალი თავშესაფარი -	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო, მთავრობა	2018	აჭარის ა.რ. მთავრობა, დონორი ორგანიზაციები
	6.2.3 თავშესაფრების თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება, მათთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა	თემატიკის მიხედვით შემუშავებული პროგრამები	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო, მთავრობა	2018	აჭარის ა.რ. მთავრობა, დონორი ორგანიზაციები
	6.2.4. მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება	პროგრამები შემუშავებულია, მათი რაოდენობა და შინაარსი	აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო, აჭარის მთავრობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიური დაწესებულებები	2018	აჭარის ა.რ. მთავრობა, დონორი ორგანიზაციები